



## მოსამართლის დამოუკიდებლობა

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტის  
ბატონი ულრიხ ჰაგენლოხის საჯარო ლექციის ტრანსკრიპტი

თბილისის სააპელაციო სასამართლო, XII სხდომის დარბაზი  
3 ივნისი, 2014 წ.

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, მოხარული ვარ რომ მომეცა შესაძლებლობა თქვენთან, ესეთ დიდ აუდიტორიასთან ვისაუბრო ისეთ საინტერესო და აქტუალურ თემაზე, როგორც არის მოსამართლის დამოუკიდებლობა, რომელიც ისეთივე საინტერესოა გერმანიაში, როგორც საქართველოში და ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, სადაც სასამართლო ფუნქციონირებს. განსაკუთრებით მოხარული ვარ, რომ დიდი შემადგენლობით გვიწევს შეხვედრა. თქვენ გსმენიათ ჩვენი პარტნიორობის, ჩვენი თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ აქამდე ძირითადად პარტნიორობა მიმდინარეობდა უფრო ვიწრო ჯგუფთან. მოხარული ვარ რომ უფრო გაფართოებული შემადგენლობით გხედავთ, არა მხოლოდ მოსამართლეებს, არამედ სასამართლოს თანამშრომლებსაც. ყველას მოგესალმებით და კიდევ ერთხელ მინდა სიხარული გამოვხატო ამასთან დაკავშირებით. მე წარმოვადგენ გერმანულ მართლმსაჯულებას, გერმანულ სასამართლოს და პირველ რიგში კონცენტრაციას მოვახდენ გერმანულ სინამდვილეზე, მოსამართლის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ ასპექტებზე გერმანული გადმოსახედიდან. მაგრამ თუ ნებას მომცემთ (თარჯიმნის შენიშვნა: ბატონი ჰაგენლოხი უკვე წლებია სტუმრობს საქართველოს და ძალიან დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს), რამოდენიმე ადგილას ჩემს იდეებსა და ხედვასაც მოგაწვდით უკვე ქართულ კონტექსტთან დაკავშირებით. თუმცა ჯერ მოკლე მიმოხილვას წარმოგიდგენთ ამ კუთხით გერმანიაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით:

დავიწყებ მოსამართლის სტრუქტურული დამოუკიდებლობით სასამართლოში. სტრუქტურულ გამოყოფა და, მოსამართლის როგორც სტრუქტურული ერთეულისა, ვგულისხმობ საკადრო, საშტატო ერთეულის კუთხით, საბიუჯეტო სამართლებრივი ასპექტებით, აქ, მოსამართლეების გადმოსახედიდან გერმანიაში საკანონმდებლო სიტუაცია არც

ისე სახარბიელოა და კიდევ დახვეწას საჭიროებს. მაგრამ მინდა დაგამშვიდოთ, რომ მიუხედავად მოსამართლეების მიერ დაწუნებული საკანონმდებლო რეგულაციებისა საკადრო-სტრუქტურული დამოუკიდებლობის კუთხით, პრაქტიკა ბევრად უკეთესია და საკადრო გადაწყვეტილებები პრაქტიკაში მოსამართლეების კმაყოფილებას იწვევს, ანუ ისეთი გადაწყვეტილებები მიიღება რომ, მოსამართლეები კმაყოფილები არიან, რომ კარგ პირობებში ახორციელებენ თავიანთ პროფესიას, რაც შეეხება პრობლემატურ საკითხს, აქ მინდა გამოვყო ფინანსური უზრუნველყოფა სასამართლო სისტემისა, მართლმსაჯულებისა, რომელსაც გერმანიაში ჯერ კიდევ განვითარების გზა აქვს გასავლელი. მე არ ვგულისხმობ მოსამართლეთა ანაზღაურებას, მე ვგულისხმობ სამტატო განრიგს, მოსამართლეთა რაოდენობას, რომლიც რა თქმა უნდა დაფინანსებაზე არის დამოკიდებული და ჩვენ გერმანელი მოსამართლეები მივიჩნევთ, რომ აქტიურად უნდა მოხდეს მოსამართლეთა ჩართვა აი ასეთი საკითხების გადაწყვეტაში. ძალიან კარგი სიტუაციაა და კარგად არის მოწესრიგებული მოსამართლეების თანამონაწილეობა, აქტივაცია, რაც შეეხება თვითმართველობას, თვითონ სასამართლოშივე და რაც შეეხება მოსამართლეთა მონაწილეობას საქმეთა განაწილებაში, და ამ კუთხით მიღებულ გადაწყვეტილებებში, ამასთან დაკავშირებით მე ჩემს მოხსენებაში კიდევ გავამახვილებ ყურადღებას.

ძალიან დიდი ტრადიციაა და დიდი სტაბილურობით ხასიათდება გერმანიაში და განსაკუთრებულად გამოვყოფდი, მოსამართლის შინაგან თავისუფლებას - თითოეული, ცალკეული, ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას - ეს არის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, რომელზეც დგას ჩვენი მართლმსაჯულება და ყველა, ნებისმიერი რგოლი, ასევე ადმინისტრაციის ყველა სხვა რგოლი ყველანაირად ერიდება ისეთ საკითხებთან შეხებას, რომელიც შეიძლება თუნდაც მოჩვენებით დაკავშირებული იყოს მოსამართლის შინაგანი დამოუკიდებლობის შეზღუდვასთან. გარე თვალთ, ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ ეს ყველაფერი, როგორ არის თავსებადი ისეთ სისტემაში, ისეთ სამართლებრივ სასამართლო სისტემაში, სადაც არა გვყავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ანუ სასამართლოს თვითმართველი, თვითადმისტრირების განმახორციელებელი ორგანო, არამედ ჩვენთან სასამართლო ადმინისტრირება, საორგანიზაციო საკითხებს ვგულისხმობ, მისი ტექნიკურ-მატერიალური, ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება იუსტიციის სამინისტროს მიერ და არა თვითონ მართლმსაჯულების მიერ. ანუ ერთი მხრივ ეს, და მეორე მხრივ - აბსოლუტურ უზენაეს სიკეთედ მოსამართლის შინაგანი დამოუკიდებლობის მიჩნევა - შეიძლება ერთი შეხედვით, უცხო თვალისათვის, იყოს რაღაც ერთმანეთთან არათავსებადი. თუმცა ასეთი შეხედულება მცდარი შთაბეჭდილებაა - ჩვენთან დიდი ტრადიციაა და უკვე ჩამოყალიბებული კულტურაა ამ მხრივ და ამ მიმართულებით პრობლემები ნამდვილად არ არის, მართლმსაჯულება ამ პრობლემის წინაშე არ დგას. ანუ ძალიან კარგად არის ერთმანეთისაგან გამოცალკავებული, თუ რა არის ორგანიზაცია და რა არის თვითონ მართლმსაჯულების განხორციელება, როგორც ფუძე, როგორც ქვაკუთხედი სამოსამართლო საქმიანობისა. ამ მხრივ გერმანიის სასამართლოს შეუძლია ნამდვილად მოიწონოს თავი საერთაშორისო მასშტაბით და საერთაშორისო რეიტინგში გერმანია ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებს ხოლმე, სხვა ისეთ თავისუფალ და თვალსაჩინო მართლმსაჯულების სისტემებთან ერთად, როგორიცაა ნორვეგიაში, შვეიცარიაში და ა.შ.

აქ მინდა გადახვევა გავაკეთო და ჩემს პოლონელ კოლეგებს, პოლონეთის სასამართლოს გამოვცხადებ, რომლებმაც გასაოცარი განვითარების გზა განვლეს ძალიან მოკლე ხანში და ძალიან მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს თავიანთი მართლმსაჯულების შეფასების კუთხით საერთაშორისო დონეზე. ასევე მინდა აქცენტი გავაკეთო საქართველოს მართლმსაჯულებაზე და მინდა დადებითად აღვნიშნო ის წინსვლა, რა პროგრესითაც ვითარდება სისტემა და არის კანონები, რომლებიც ქართული სინამდვილიდან სამაგალითოა გერმანიისთვისაც. მართალია საქართველოს ამ კუთხით მეტი გამოცდილება სჭირდება, სწორედ ამ ნორმების სწორ პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებით, თუმცა მთავარია რომ გეზი იყოს სწორად აღებული. ერთ რამეს ვურჩევდი ქართულ სისტემას, იმ აქტორებს, რომლებიც ჩართულები არიან მართლმსაჯულების, იუსტიციის სფეროებში, რომ გაერთიანებულიყვნენ და ერთიანი ძალებით ეზრუნათ ამ სისტემის დახვეწასა და განვითარებაზე, მაგრამ მინდა გაგანდოთ გერმანიის საიდუმლო რაში მდგომარეობს, უცნაური სტრუქტურაა – იუსტიციის სამინისტროს ქვეშ მოქცეული სასამართლო სისტემა ერთი მხრივ, მეორე მხრივ პროკურატურა, მაგრამ გერმანიის მართლმსაჯულება მაინც თავისი ხარისხიანი თავისუფლებით მოწინავე ადგილს იკავებს, ამიტომ ამის რეცეპტი გახლავთ სწორედ პრაქტიკა და არა კანონები, ანუ კანონები ამ მხრივ არ არის გამოსავალი, გამოსავალი არის სწორი, მართებული პრაქტიკა და ამ კანონების სწორი გამოყენება. აქცენტი უნდა გაკეთდეს თითოეული მოსამართლის დამოუკიდებულებაზე მისი დამოუკიდებლობის მიმართ, თითოეული პროკურორის დამოუკიდებულებაზე მოსამართლის დამოუკიდებლობის მიმართ, სასამართლოს თავმჯდომარის დამოუკიდებულებაზე მოსამართლის დამოუკიდებლობის მიმართ. ამ სისტემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ადამიანი მოწინავეებით უნდა უყურებდეს მოსამართლის დამოუკიდებლობას ანუ მთავარია შინაგანი სურვილი, ნამდვილი წრფელი შინაგანი სურვილი იმისა, რომ ქვეყანას ყავდეს ინდივიდუალურად დამოუკიდებელი მოსამართლე და აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა – რაც არ უნდა საუკეთესო იყოს კანონი, რაც არ უნდა საუკეთესო გარანტიას გვაძლევდეს კანონი, თუ ის არ გაცოცხლდა, თუ ის ყოველდღიურად, თითოეულ მოსამართლეში და ნებისმიერ იმ ადამიანში არ გაცოცხლდა, ამ კანონს აზრი არა აქვს, ამ კანონის შესაძლებლობები შეზღუდული იქნება. შეზღუდვასთან არ გვექნება საქმე, როდესაც საუბარია შინაგან სურვილზე, რომ მართლაც გათავისუფლდეს მოსამართლე, ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ინდივიდად, რომელიც ხელს შეუწყობს მთელი სისტემის განვითარებასა და წინსვლას; ანუ ეს არის დამოუკიდებელი ადამიანებზე, რამდენად იქნება სასამართლო, რამდენად იქნება მოსამართლე დამოუკიდებელი. კანონი ისეთ ჩარჩოებს გვიქმნის, ისეთ პირობებს ქმნის, რომ ამ პირობებში შეიძლება კარგად მუშაობა, მაგრამ ამას ისევ და ისევ ქმნიან ადამიანები. ანუ თქვენ, თქვენზეა დამოუკიდებელი თუ როგორ წარიმართება მართლმსაჯულების განვითარება ამ კუთხით, რამდენად დაცული იქნება მოსამართლე თავის დამოუკიდებლობაში, რამდენად ექნება მას გარსი, რომელიც იქნება ხელშეუხებელი, თქვენ მოგმართავთ, ვგულისხმობთ ყველას იქნებით ეს მოსამართლე, იქნებით ეს სასამართლოს თავმჯდომარე, იქნებით ეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, თუ სხვაგვარად დაკავშირებული მართლმსაჯულებასთან და სასამართლოსთან.

დავუბრუნდები ისევ გერმანულ რეალობას, ისევ გერმანულ გაგებას თითოეული მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობისა და ამასთან დაკავშირებით მე ვერ ვისაუბრებ, თუ არ გავაკეთე ისტორიული ექსკურსი ჩვენთვის ყველაზე ბნელით მოცულ პერიოდზე, კერძოდ, ნაცისტური გერმანიის პერიოდს ვგულისხმობ. სამწუხარო ფაქტია, რომ

ცალკეულმა მოსამართლეებმა ნაცისტური რეჟიმის დროს ძალიან ცუდი და უარყოფითი როლი შეასრულეს ამ კონტექსტში. მე არ ვსაუბრობ მხოლოდ იმ მოსამართლეებზე, რომლებიც ნაცისტურმა რეჟიმმა მოიყვანა მოსამართლეებად, არამედ ვსაუბრობ იმ მოსამართლეებზეც რომლებიც დახვდნენ ნაცისტურ რეჟიმს უკვე დანიშნული, ანუ ნაცისტურ რეჟიმამდე გახდნენ მოსამართლეები. სამწუხაროდ, მათ ძალიან კარგად გამონახეს საერთო ენა ნაცისტურ რეჟიმთან, მიუხედავად მათი დადებითი წარსულისა, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეები, რომლებიც დახვდნენ ნაცისტურ რეჟიმს, მანამდე ძალიან პატიოსნად და კარგად ასრულებდნენ თავიანთ სამოსამართლო საქმიანობას, ისინი იყვნენ სწორედ ხელისმომწერნი იმ საზარელი გადაწყვეტილებებისა, რომლებსაც ვიცნობთ ჩვენ ნაცისტური პერიოდიდან. მოდით მე ჩემი მოღვაწეობის დასაწყისსაც გავიხსენებ, როდესაც 1978 წელს გავხდი მოსამართლე გუტენბერგში. მიუხედავად იმისა რომ 30 წელი იყო ნაცისტური რეჟიმის დასრულებიდან, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან გასული, მაინც იგრძნობოდა გადმონაშთები ნაცისტური რეჟიმისა თვითონ მართლმსაჯულების სისტემაში და მაშინ მე და ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს გვაწუხებდა კითხვა, თუ როგორ მოხდა, როგორ იყო ეს შესაძლებელი?! და რეალური და ფაქტია რომ ეს მოხდა, რომ მოსამართლეები, რომლებიც მოსამართლეებად მოვიდნენ სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში, იმიტომ რომ ვაიმარის რესპუბლიკაში იყო ეს მცდელობა და გეზი აღებული სამართლებრივი სახელმწიფოსკენ, მუშაობდა სამართლის ის პრინციპები, რომლებიც ნაცისტებმა ერთი ხელის მოსმით გააუქმეს, როგორ მოხდა რომ ამ დროს კორექტულად მომუშავე მოსამართლე იქცა ნაცისტური რეჟიმის ბრმა იარაღად და ინსტრუმენტად მათ ხელში?! ჩვენ ვკითხულობდით როგორ შეიძლება ეს შესაძლებელი ყოფილიყო, ვეძებდით ამის მიზეზებს და ასევე საკუთარ თავს ვუსვამდით კითხვას, მე როგორ მოვიქცეოდი ამ დროს რომ ვყოფილიყავი მოსამართლე? მე არ მქონდა მაშინ ამ კითხვაზე პასუხი, ისევე როგორც ჩემს კოლეგებს. ვერ გავეცით პასუხი, თუ ჩვენ როგორ მოვიქცეოდით, თუ რამ გამოიწვია ესეთი მანკიერი განვითარება, მაგრამ ერთი რამე ვიცოდით რაც აუცილებლად უნდა ჰქონოდა მოსამართლეს, კვალიფიკაციაზე არ არის საუბარი, ეს არის საუბარი იმ შინაგან ძალაზე, რომელიც გაგაძლებინებს ყველაზე ექსტრემალურ პირობებშიც კი, როგორც იყო ნაცისტური რეჟიმი. ამ ყველაფრის გამო ისტორიული ექსკურსი დამჭირდა იმისთვის, რომ თქვენ კარგად გაიგოთ იმ დაცვის მექანიზმების დანიშნულება, რომელიც დღეს თავისუფალ სამართლებრივ ფონს, თავისუფალ სამართლებრივ სახელმწიფოს აყალიბებს გერმანიაში. ჩვენ ყველანი მივედით იმ დასკვნამდე, რომ მოსამართლემ თუ ყოველდღე არ დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა, თუ არ შეიქმნა ამ დამოუკიდებლობის დაცვის მექანიზმი, რომელიც მოქმედებს ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი, და რომლის დაცვის სურვილიც ყოველთვის უნდა ამოდრავებდეს მოსამართლეს, მაშინ შეიძლება სიტუაცია განმეორდეს. პირველი კონცეფცია, რომელიც შევიმუშავეთ და რომელზეც შევთანხმდით იყო ის, რომ სასამართლო ხელისუფლება, როგორც დამოუკიდებელი მესამე ხელისუფლება, სრულად უნდა ყოფილიყო დაცული სხვა ხელისუფლებების შესაძლო ჩარევებისაგან, მაგრამ თვითონ სასამართლოს პერსონალი, მართლმსაჯულების განმახორციელებელ რგოლზეა საუბარი, მოსამართლეებზე, ასევე უნდა ყოფილიყო დაცული სასამართლოს ხელმძღვანელობის ჩარევებისაგან. ხატოვნად რომ წარმოვთქვათ, გერმანიაში ასეთი გამონათქვამი არსებობს, „ფეხი თუ შემოდგა, მერე უკვე გზასაც გაიკავავსო“, ანუ პატარა ჭუჭრუტანაც რომ დარჩეს კარში, ფეხის შემოსადგმელი, შემდეგ ეს კარი კიდევ და კიდევ უფრო იღება, ანუ ჩვენ შევეცადეთ ასეთი ჭუჭრუტანის პატარა შემოსასვლელიც კი არ ყოფილიყო სასამართლო ხელისუფლებაში სხვა ხელისუფლების მოსაზრებებისა და გარე ზეგავლენებისათვის და სწორედ თქვენთან დავინახეთ ჩვენი ისტორიული პრობლემა ანუ ისევე



ნაცისტურ რეჟიმს დავუბრუნდები და ვიტყვი რომ ვფიქრობთ ნაცისტური რეჟიმის დროს პატარა ჭუჭრუტანა იყო დატოვებული სასამართლო ხელისუფლებაში შესასვლელად. როდესაც პატარა ჭუჭრუტანა დატოვებული იქ შეიძლება ზეწოლა განხორციელდეს, მიაწვე და გააღო კარი და ასეც მოხდა. ეს რას ნიშნავს, ეხლა თუ გადმოვიტანთ ამას აქტუალურ კონტექსტში, გერმანულ სინამდვილეზე, აქ აუცილებელია ორი მნიშვნელოვანი რამის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, კერძოდ, ერთი ეს არის მოსამართლის, როგორც პროფესიის და პროფესიათა კორპუსის თვითმართველობა და ამასთან დაკავშირებული საკითხები, და მეორე თითოეული ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა. რა თქმა უნდა, მოსამართლის დამოუკიდებლობა იწყება მისი მოსმენით იმ საკითხებზე, რაც მას ეხება. ყველაზე მეტად საკითხები, რომლებიც მოსამართლის ყოველდღიურ საქმიანობას ეხება იწყება იქედან, თუ რომელ საქმეს განიხილავს მოსამართლე. გერმანიაში უფრო ვიწროა ეს სპეციალიზაცია და დიფერენცირებულია, ვიდრე თქვენთან. ვინ რომელ საკითხებზე, ვინ რომელ პალატაში გამწესდება, ვის რამდენი საქმე დაეწერება, საუბარია საქმეთა განაწილებაზე, რომელშიც მოსამართლეები აქტიურად არიან ჩართულნი.

გერმანიაში ჩვენ ისეთ გზას მივმართეთ, რომ ეს საკითხი, თუ რომელ მოსამართლეს სად უფრო მეტი ძალა შესწევს, რომელი მოსამართლე თავის თავს სად, რომელ სფეროში ხედავს, თავის ძლიერ მხარეებს სად უფრო გამოავლენს და რა რეაგირებას განახორციელებს, ჩვენ ამ საკითხის გადაწყვეტა თვითონ მოსამართლეებს მივანდეთ და ვფიქრობთ, რომ მოსამართლეებმა ეს საკითხი ყველაზე კარგად უწყიან. ამიტომ, ჩვენ ამ მოსაზრების ვართ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ უმჯობესია ისევ მოსამართლეებმა განსაჯონ და გადაწყვიტონ, ვის რა უფრო ხელეწიფება, ზოგს სამშენებლო დავა უფრო იზიდავს, ზოგს საგზაო შემთხვევების კაზუსები უფრო აინტერესებს, ზოგს სისხლის სამართალი, ზოგს სამოქალაქო და ა. შ., მაგრამ ფაქტია რომ ეს საკითხი და ამ საკითხების გადაწყვეტა, ისევე როგორც დატვირთვის გადანაწილება თვით მოსამართლეებს შორის, ისევ და ისევ მოსამართლეებს მივანდეთ. ალბათ მოგეწონებათ ეს გერმანული პრაქტიკა და იტყვიან რომ კარგია, როცა მოსამართლეები თვითონ წყვეტენ რა საქმეს განიხილავენ, რას არ განიხილავენ, რამდენს მიიწერენ, არ მიიწერენ, მაგრამ ეს ხუმრობით. რა თქმა უნდა ნებისმიერ კომპეტენციას, უფლებამოსილებას, - მიიღო გადაწყვეტილება ასეთ საკითხებზე, მოყვება ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და პირველ რიგში მოსამართლეებმა ეს პასუხისმგებლობა უნდა გააცნობიერონ.

საკმაოდ რთული საკითხია და დიდი პასუხისმგებლობაა, არ არის ესეთი მარტივი საქმე, როდესაც სხვებს ვეღარ ვაკრიტიკებთ და გადაწყვეტილების მიღებით ჩვენ ვხდებით კრიტიკის ობიექტი, თუ რამე არ არის წესრიგში და მეორე ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ერთი იმისა, რომ კოლეგებს შორის სამართლიანად ნაწილდება დატვირთვა და მეორე იმავდროულად ჩვენ, მოსამართლეები, ვხდებით პასუხისმგებელნი იმაზე, რომ სასამართლო სისტემა ეფექტურად მუშაობს და ეფექტურად ემსახურება მოსახლეობას, მხარეებს. ბუნებრივია ამ პასუხისმგებლობას, მოსამართლეების მიერ ამ ფუნქციის, ამ კომპეტენციის განხორციელებას სჭირდება ორგანიზება, მითუმეტეს ისეთ სასამართლოებში, სადაც მხოლოდ სამი მოსამართლე არ არის დასაქმებული. ამიტომ ამისათვის შეიქმნა ე.წ. რეპრეზენტატიული ანუ წარმომადგენლობითი ორგანო სასამართლოში. ასეთი ორგანო ჩვენთან თითოეულ სასამართლოში იქმნება და ამ ორგანოს ძირითადი ფუნქცია გახლავთ სწორედ საქმეთა გადანაწილება მოსამართლეებზე და ამ კომპეტენციების მინიჭება სპეციალიზაციის მიხედვით.

ამ ორგანოს ჰქვია პრეზიდიუმი, გერმანულ სინამდვილეში, მოწესრიგებულია კანონით ამ ორგანოს შექმნა და საქმიანობაც. ამ თვითმართველ ორგანოში წარმოდგენილი არიან ერთი - თანამდებობრივად სასამართლოს თავმჯდომარე, და სასამართლოს მოსამართლეები, რომლებიც ამ პრეზიდიუმში თვითონ ამ სასამართლოს სხვა მოსამართლეების მიერ იქნებიან არჩეული გარკვეული ვადით. მოსამართლე წევრების რაოდენობა ვარირებს თვითონ სასამართლოს შიგნით სიდიდის მიხედვით 4-დან 10 წევრამდე, ანუ მივმართეთ დემოკრატიის პრინციპს, როცა წარმომადგენლობითი ორგანოები ჩავსვით უფრო დიდი მოცულობის სასამართლოში. პატარა სასამართლოდ გერმანიაში მიიჩნევა სასამართლო, სადაც 7 მოსამართლემდეა დასაქმებული და ასეთ პატარა სასამართლოებში კი პრეზიდიუმი, როგორც ორგანო არ არსებობს და აქ ყველა მოსამართლე, ანუ შვიდივე არის პრეზიდიუმის წევრი და ერთობლივად თავმჯდომარესთან ერთად წყვეტს საქმეთა განაწილების საკითხებს. გადაწყვეტილებაც დემოკრატიული გზით მიიღება, ანუ უმრავლესობის მიერ და არა ერთხმად. საქართველოს სინამდვილეზე რომ გადმოვიტანოთ ეს, ბევრი სასამართლო მოხვდება, უფრო რაიონულები, პატარა სასამართლოების რიცხვში.

პრეზიდიუმი ყოველი წლის დასაწყისში ამტკიცებს საქმეთა განაწილების გეგმას მიმდინარე წლისათვის ანუ ყოველწლიურად ახალი გეგმა მტკიცდება და იმავდროულად გადანაწილება მიმდინარეობს აბსტრაქტული კრიტერიუმების საფუძველებზე, ანუ პრეზიდიუმი თანხმდება და ამტკიცებს აბსტრაქტულ კრიტერიუმებს, რა კრიტერიუმებითაც მიმდინარე წელს საქმე სათითაოდ მოსამართლეებზე გადანაწილდება. დიდ სასამართლოებში, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებში, სადაც თითოეული თემატური განსჯადობის გარშემო პალატები, კოლეგიები იქმნება, იქ უკვე კოლეგია არის გარკვეულ საკითხებზე სპეციალიზირებული და იქ კოლეგიათა შორის გადანაწილების გეგმაც კიდევ ამ გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ანუ დიდ სასამართლოში, ზედა ინსტანციის სასამართლოში, როგორც მაგალითად არის დრეზდენისა უმაღლესი სამხარეო სასამართლო, პრეზიდიუმი იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე: ერთი ვთქვით რომ თემატური კოლეგიები იქმნება, სპეციალური თემატური განსჯადობით, საგნობრივი განსჯადობით და პრეზიდიუმი ადგენს რომელი მოსამართლე რომელ კოლეგიაში იქნება წარმოდგენილი, რომელ კოლეგიას განეკუთვნება და რომელი კოლეგია რომელ საქმეებს განიხილავს. გარდა ამისა, შიდა გადანაწილებასაც აქვს ადგილი, კერძოდ თითოეული კოლეგიის ფარგლებში, მას შემდეგ რაც გარე ჩონჩხი უკვე გადანაწილებულია და დადგენილია ვინ რა კეტეგორიის საქმეებს, რა შემადგენლობით, რა კოლეგიით განიხილავს, უკვე ეს კოლეგია ინაწილებს ერთმანეთზე ვის რომელი საქმე შეხვდება ანუ იქმნება შიდა გადანაწილება და ერთი მთლიანი გადანაწილება. გარდა ამისა გადაწყვეტილების მომზადების ეტაპზე პრეზიდიუმის წევრი მოსამართლეები ზრუნავენ იმაზე, რომ სხვა მოსამართლეებისგან წამოიღონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია საქმის გადანაწილების და მათი შეხედულებების, ინტერესების შესახებ, რომ საქმის გადანაწილების გეგმის საფუძველი იყოს საერთო კონსესუსი. რამდენადაც ეს გეგმა შემდგომში ეხება თითოეულ მოსამართლეს და მათ ყოველდღიურ საქმიანობას აწესრიგებს.

ეხლა უნდა გადავიდეთ მოსამართლის დამოუკიდებლობის ბირთვზე, რაც არის ინდივიდუალური დამოუკიდებლობა თითოეული მოსამართლისა. გერმანიაში ვსაუბრობთ სამოსამართლო საქმიანობის ბირთვულ ნაწილზე, რაც ძირითადად კანონის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, მართლმსაჯულების განხორციელებას ეხება და აი ეს ბირთვული

ნაწილი სამოსამართლო საქმიანობისა არის აბსოლუტურად ხელშეუხებელი ყველანაირი შეფასებისაგან, კრიტიკისაგან, ყველანაირი ჩარევისაგან. როდესაც ვამბობთ, რომ არსებობს ბირთვული ნაწილი სამოსამართლო საქმიანობისა, რომელიც არის აბსოლუტურად ხელშეუხებელი ყველანაირი გადამოწმებისაგან, მაშინ რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ამ ბირთვული ნაწილის განმარტება და დაფიქსირება - თუ რა არის ეს. ჩვენს სინამდვილეში ეს არ გულისხმობს და არ არის განმარტებული ისე, როგორც თვითონ გადაწყვეტილება და მისი მიღების აქტი, არამედ ასევე ამ გადაწყვეტილების მომწიფების, მომზადების მთელი პროცესი ანუ ამ გადაწყვეტილებამდე მისვლის, მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების მთელი პროცესი, და არა მხოლოდ გადაწყვეტილების დაფიქსირება, როგორც ერთჯერადი მოვლენა. მაგრამ იმავდროულად რა თქმა უნდა სამოსამართლო საქმიანობას ახასიათებს მეორე სფეროც, რომელიც არ განეკუთვნება ბირთვულ, აბსოლუტურად დაცულ სფეროს დამოუკიდებლობის კუთხით და რომლის გამოყოფაც მოსამართლის საქმიანობაში მნიშვნელოვანია, ამას ჩვენ გარე წესრიგს ვეძახით და უფრო დეტალურად მოგახსენებთ რას ვგულისხმობთ ამ ყველაფერში ცოტა მოგვიანებით.

დავიწყებ ამ ბირთვული ნაწილის წარმოდგენით, თუ რას მოიცავს ეს, რა არის ეს ბირთვული ნაწილი, რომელიც აბსოლუტურად ხელშეუხებელია. რა თქმა უნდა გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ როგორც ასეთი, ყველა თავისი ასპექტით. იწყება ეს გადაწყვეტილების სტრუქტურით, გადაწყვეტილების შინაარსით, რაზე ციტირებს, რაზე მიუთითებს მოსამართლე. მაგალითად ეს არის ასევე ტენდენციები, რომელსაც იღებს ხოლმე სხვადასხვა პერიოდებში, სხვადასხვა ეტაპზე სასამართლო სისტემა, სასამართლო პრაქტიკა. ესეც ბირთვული ნაწილის შემადგენელია და გამორიცხულია, ამ კუთხით ჩვენთან ფაქტიურად ტაბუ ადევს ისეთ შეფასებებს სხვა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, იქნება ეს იუსტიციის მინისტრი, სასამართლოს თავმჯდომარე, როგორც ადმინისტრაციის რგოლი, რომ მაგალითად ითქვას: მოსამართლეები უფრო მკაცრები უნდა იყვნენ სასჯელის განსაზღვრისას; მოსამართლეებმა მორალური ზიანის განსაზღვრისას ცოტა უფრო მაღალი კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელონ და მორალური ზიანის ანაზღაურებისას უფრო მაღალი რაოდენობის ზიანის უნდა მიაკუთვნონ; მოსამართლეებმა ალიმენტთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში რეალური შემოსავალი უფრო კრიტიკულად უნდა გამოიკვლიონ და შეაფასონ.. - ნებისმიერი ესეთი მითითება მანკიერ ტენდენციებზე მართლმსაჯულებაში, ნებისმიერი მინისტრის ან ნებისმიერი სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან, ჩვენთან ტაბუიზირებულია. როგორც მოგახსენეთ ბირთვული ნაწილი ასევე გადაწყვეტილებამდე მისვლის ეტაპსაც მოიცავს და ეს ის საკითხებია, რომლებიც ასევე აბსოლუტურად დაცულია, თუ როდის ჩავნიშნავ ჩემს სხდომას, ეს დაკავშირებულია იმასთან თუ მე რამდენად ვარ და როგორ ვარ მომზადებული და მე რას ვიყენებ ამისათვის როგორც მოსამართლე, მეორე გავუზრდი თუ არა ვადას ადვოკატს, დავაკმაყოფილებ თუ არა ამა თუ იმ შუამდგომლობას სხდომის გადადებასთან დაკავშირებით, როგორ გავუწევ ორგანიზებას ჩემი გადაწყვეტილების მომზადების და მიღების პროცესს.

როგორც მოგახსენეთ ბირთვული ნაწილის პარალელურად მოსამართლეს დასაქმებულია და არსებობს გარკვეული გარე წესრიგი მისი საქმიანობისთვისაც, რომელიც გამოყოფილია ამ ბირთვული ნაწილისაგან და არ არის აბსოლუტური, არ არის დაცული მოსამართლის დამოუკიდებლობით და რომელიც ექვემდებარება სამსახურებრივ გადამოწმებას, ზედამხედველობას. ეს არის ისეთი საკითხები, როგორცაა მაგალითად უკვე ჩანიშნული

სხდომების პუნქტუალურად დაწყება, ფორმულარების გამოყენება, რომელიც დამტკიცებულია სასამართლოში, რომელიც სავალდებულოა გამოსაყენებლად, ასევე ურთიერთობა სასამართლოს თანამშრომლებთან – არ შეიძლება მოსამართლე უდიერად ეპყრობოდეს სასამართლოს თანამშრომლებს და ამბობდეს მე დამოუკიდებელი ვარ და როგორც მინდა ამას ისე მოვახერხებო.

გარკვეული პრობლემები გერმანიაში გვაქვს ისეთ გამონათქვამებთან, რომელიც შეეხება მეტყველებას, გამონათქვამებთან, რომელიც ჯერ კიდევ ზღვარზეა იმასთან, რა არის შესაბამისი და რა არის სწორი და მოსაწონი. საზომი და მასშტაბი ასეთი გამონათქვამებისა, საუბარია ცოტა მიუღებელ, ცოტა ნაკლებად მოსაწონ გამონათქვამებზე და ასეთ არტიკულაციებზე მოსამართლის მხრიდან. აქ მასშტაბი და საზომი ჩვენი არის ის, რამდენად აქვს ადგილი ვერბალურ ექსცესს, სასამართლო კონტექსტის დატოვებას, სასამართლო კონტექსტიდან ქუჩის კონტექსტზე გადასვლას, ამას თუ აქვს ადგილი, რამდენად შეურაცმყოფელია ეს მხარისთვის, თუ ეს ჯერ კიდევ ემსახურება მოსამართლის მიერ თავისი სამართლებრივი შეფასების გახმაურებას, მაგალითად იყო ერთი ასეთი საკითხი, როდესაც მოსამართლემ მხარეს უთხრა, რომ „ეს არის სულელური, ჭკუასუსტი ტყუილი“, ეს შეფასდა მერე, ანუ შეფასების პროცესში, სასამართლოს მსჯელობასთან დაკავშირებით თუ რამდენად არის ეს ჯერ კიდევ სამართლებრივი მოსაზრება, სამართლებრივი შეფასება მოსამართლისა, არის თუ არა ეს შეურაცხყოფა. საბოლოო ჯამში სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს შეფასდა ჯერ კიდევ უკიდურეს საზღვრებში მოქცეულ სამართლებრივი შეფასების არტიკულაციად, იმიტომ რომ ეს თვითონ გამონათქვამზე იყო მაინც საბოლოოდ მიმართული, რომ ეს იყო ვთქვათ სულელური ტყუილი, სიცრუე, მაგრამ მე არ მინდა თქვენ ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ რომ გერმანიაში ესეთი მიღებული ფიქციაა და მოსამართლეები აი ამ ფორმით და ამ სიტყვებით საუბრობენ. სწორედ ის რომ სასამართლოს განხილვა, სასამართლომდე მივიდა ეს საკითხი, სასამართლომ ამაზე იმსჯელა, მეტყველებს იმაზე, რომ ეს ესეთი უკიდურესი სასაზღვრო, ზღვრული შემთხვევებია, სადაც ნამდვილად საჭიროა მსჯელობა, ჯდება კი ეს სამოსამართლო საქმიანობის ნაწილში, თუ უკვე გადახვევასთან გვაქვს საქმე.

კიდევ ერთი მაგალითი, ისეთი ინციდენტის შესახებ მინდა მოგიყვებ, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა გერმანულ პრესაში, კერძოდ, მოსამართლე მსჯელობდა თავის საქმეში გადასახადების დაზოგვის მოდელთან დაკავშირებით. გერმანიაში მაღალია გადასახადი და ამიტომ გადასახადების დაზოგვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს ამ საკითხზე და მოსამართლემაც არ დაიშურა თავისი კომპლიმენტი და თქვა რომ გერმანიაში გადასახადის დაზოგვაზე მსჯელობა ბევრად უფრო აქტუალურია, ვიდრე სექსუალური ჟინი ადამიანებში, ეს უფრო საინტერესო ამბავია, ვიდრე სექსუალური ცხოვრება. მოსამართლემ გადაწყვეტილებაში დაწერა ეს, ანუ კონტექსტი იყო ასეთი, მოსარჩელემ იმ საქმეში გადასახადის დაზოგვის მიზნით განახორციელა რაღაცა, დააბანდა ფული და ის ამ სურვილით, რომ დაეზოგა გადასახადი, იმდენად იყო დაბრმავებული, რომ თვალთახედვიდან გამორჩა და არ მოუსმინა მისი კონსულტანტის რჩევა-დარიგებებს, რომ ის დაბანდება, რასაც მას სთავაზობდნენ და რა გზითაც საბოლოო ჯამში მას შემდეგ გადასახადი უნდა დაეზოგა, სარისკო იყო და სწორედ ამ კონტექსტში, როდესაც ამაზე მსჯელობდა, ამას განმარტავდა მოსამართლე, მან განაზოგადა და თქვა რომ გერმანელებს გადასახადების დაზოგვა სექსუალური ინსტიქტების დონეზე აქვთ დაყვანილი და შეიძლება კიდევ უფრო განვითარებულიო. საპრეცედენტო



მაგალითს მოგახსენებთ, როდესაც სასამართლომ შემდეგი გამონათქვამი მოსამართლისა არ სცნო სამოსამართლო საქმიანობის ბირთვულ ნაწილად და თქვა, რომ ეს უკვე ორგანიზაციულ წესრიგში შედის, რომელზეც შენიშვნის მიცემა მოსამართლისთვის შეიძლება.

ერთ საქმეზე მოსამართლემ მხარეს პროცესზე მიმართა შემდეგნაირად: „კი მაგრამ არ გინდა რომ გამიგო, თუ იმდენად სულელი და შტერი ხარ რომ არ გესმის“. ეს აშკარად, გამოხატულად დაფიქსირდა, როგორც შეურაცყოფა მხარის მიმართ და სასამართლომ მიიჩნია, რომ არანაირი აუცილებლობა ასეთი სახის გამონათქვამისა არ იყო იმისთვის, რომ ამ მოსამართლეს თავისი სამართლებრივი დამოკიდებულება გამოეხატა და ეს განემარტა მხარისათვის. ამ სიტყვების მოხმარება არ იყო აუცილებელი, რომ მოსამართლეს სწორად გამოეხატა თავისი პოზიცია და ეს არ მიეწერა სამოსამართლო საქმიანობის იმ ბირთვული ნაწილისათვის, რომელიც აბსოლიტურად დაცულია. ცოტა გადავუხვევ და ვიტყვი ვინ იყო ის მხარე, ვისაც მოსამართლემ ასე მიმართა, მოსამართლეს ამ კუთხით არ გაუმართლა, იმიტომ რომ ის იყო გვერდზე მდებარე რეგიონში პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე, როგორც ხედავთ გერმანიაშიც ხდება ხანდახან ესეთი რაღაცეები.

მინდა შევეხო შემდეგ მტკივნეულ საკითხს, კერძოდ წარმოების ხანგრძლივობას გერმანიაში, სადაც საქართველოსაგან განსხვავებით არსებობს არა კანონმდებლობით დადგენილი ვადები, არამედ პრინციპის დონეზეა, რომ ნებისმიერმა მოსამართლემ გაჭიანურების გარეშე უნდა აწარმოოს და განიხილოს თავისი საქმეები. პრაქტიკაში საკმაოდ რთულია, რომ შეაფასო იყო თუ არა ეს გაჭიანურება. გერმანიის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არანაირ ვადას, რომელიმე ინსტანციის, რომელიმე საქმის განხილვისათვის და არც ვადას საქმის ჩანიშნისათვის, სხდომის დანიშნისათვის. ამ კუთხით მინდა აღვნიშნო რომ გერმანელები არ არიან იმ საკანონმდებლო წნეხის შეზღუდვის ქვეშ, როგორც ქართველი მოსამართლეები, კერძოდ კანონი მათ არანაირ ვადას არ უწესებს და ამ ვადასთან დაკავშირებით გულახდილად გეტყვით, რომ საქართველოში არსებული ვადები საკმაოდ მჭიდროდ მიმაჩნია, იმიტომ რომ ფაქტიურად ძალიან რთულია ამ ვადებში ჩატევა, ამ ვადებში საქმის, როგორც ალბათ ყველა მოსამართლეს უნდა, ისე სრულად და ამომწურავად განხილვა. რაც შეეხება ვადებს, ისევ და ისევ ვუბრუნდები მოსამართლეების დამოუკიდებლობას და ვიტყვი, თითოეულ წარმოებაზე, კონკრეტულ წარმოებაზე ვადასთან დაკავშირებული შენიშვნა, მითითება, კრიტიკა ისევ და ისევ ითვლება რომ შემხებლობაშია მოსამართლის დამოუკიდებლობასთან და უხეშად ეხება ამას. არ ვგულისხმობ როდესაც უკვე რაღაცა გარკვეული კატეგორიის საქმეებზე გროვდება კონკრეტული მოსამართლის მიმართ გამოცდილება, რომ აი ამ კატეგორიის საქმეზე იგი ყოველთვის იგვიანებს გადაწყვეტილების მიღებას, ამ კატეგორიის საქმეზე იგი ყოველთვის იგვიანებს პირველი სხდომის ჩანიშვნას და ა.შ. ანუ ეს რაღაცა კატეგორიაში მაინც თუ არ განზოგადდა ცალკეული წარმოების ფარგლებში, ერთ კონკრეტულ წარმოებასთან დაკავშირებით მოსამართლეს ვერ უსაყვედურებენ და ვერ მიუთითებენ, იქნებ ცოტა დაეჩქარებინა საქმე და ა.შ. ანუ ვადას ვერ შეეხებიან. საუბარია მაგალითად იმაზე, რომ გერმანიაში ძალიან მკაცრი, მჭიდრო ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სატრანსპორტო შემთხვევებში, სატრანსპორტო დავებზე, მოძრაობის წესების დარღვევისას წარმოქმნილ სამართალდარღვევებზე. ხანდაზმულობის ვადა ჩერდება სასამართლოსადმი მიმართვასთან ერთად, მაგრამ სასამართლოსადმი მიმართვის შემდეგ თავიდან აითვლება. თუ მოსამართლემ ცოტა იზარმაცა და არ დააჩქარა ეს პროცესი, სასამართლოშივე გასდის ხოლმე

საქმეს ხანდაზმულობის ვადა, თუ ასეთ საქმეებს მოეყარა თავი ერთი მოსამართლის ფიგურაში, აი ეს კი არის ნამდვილად საფუძველი იმისა, რომ ამ მოსამართლეს, არა მიეთითოს, რა უნდა ქნას, როგორ უნდა იმუშაოს, რომ ესეთი შემთხვევები აღარ მოხდეს, არამედ უბრალოდ მიეთითოს, მიენიშნოს, ეთხოვოს, რომ იქნებ მან ეს მომენტი ხანდაზმულობის გაითვალისწინოს და ყურადღება მიაქციოს აი ამ ფაქტორს და არა კონკრეტული მითითებები, რომ შენ ეს უნდა ქნა, ეს უნდა გადადო, ესეთი რაღაცეები მაინც დაუშვებელია. მინდა ყურადღება გავამახვილო და დავაზუსტო, რომ მხოლოდ და მხოლოდ ესეთი მინიშნება, მითითება და რეკომენდაცია მოსამართლეს ვადებთან დაკავშირებით, საქმეების დაჩქარებასთან, ტემპის ამალვებასთან დაკავშირებით შეიძლება გაუკეთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავდროულად ვასაბუთებთ, რომ მოსამართლეს შეეძლო უფრო სწრაფად დაესრულებინა ეს საქმე, ანუ მის ობიექტურ და სუბიექტურ შესაძლებლობაზე არის საუბარი. ესეთი მინიშნება, რეკომენდაცია ვერ განხორციელდება, თუ მოსამართლის დატვირთვა არის ზედმეტად მაღალი. აქ არის საუბარი საშუალოდ დატვირთვულ მოსამართლეზე, როგორც უნდა იყოს ჩვეულებრივად მოსამართლე და მოსამართლის საშუალო შესაძლებლობებზე, არ გამოვდივართ ზომაზე მაღალი დატვირთვიდან, ანუ შენიშვნა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ იმავდროულად ვასაბუთებთ, დარწმუნებული ვართ, რომ მოსამართლეს მართლაც შეეძლო ამაზე უფრო სწრაფად ამ საქმის დასრულება.

მე მინდა გადავიდე იმ საკითხზე, რომელიც შეეხება მოსამართლეზე სამსახურეობრივ ზედამხედველობას და ამასთან დაკავშირებული ზომებს. ჩვენ ძალიან ვერიდებით ამ ზომების განხორციელებას, რა თქმა უნდა კანონმდებლობა გვამლევს მათი გამოყენების საშუალებას, მაგრამ ძალიან ვერიდებით და ვიყენებთ მხოლოდ მაშინ თუ სხვაგვარად წარმოუდგენელია.

გავიხსენებ ზემოთ წარმოდგენილ ისტორიული ექსკურსს და დასკვნას იმ ისტორიული გამოცდილებიდან, რომ პატარა ჭუჭრუტანაც არ უნდა იყოს დატოვებული და ჩვენ ამიტომ ყველგან აი ამ ჭუჭრუტანების საშიშროებას ვხედავთ და ვამბობთ რომ გვირჩევნია მთლიანად ბოლომდე ვუზრუნველყოთ დამოუკიდებლობა ყველანაირი გარანტიით და ბევრად უფრო მოწიწებით გამოვიყენოთ ის სანქციები, რის შესაძლებლობასაც კანონი გვამლევს, რომ არ დამახინჯდეს პრაქტიკა და ვერიდებით ყველანაირი სანქციის გამოყენებას, თუ ეს მართლა აუცილებელი არაა და სხვა ყველანაირი შესაძლებლობა გადაჭრილი არ არის.

1993 წლიდან არსებობს დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო, რომელიც 80 მოსამართლეს ითვლის, სადაც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ჩვენს სასამართლოში არცერთი მოსამართლის მიმართ არ განხორციელებულა კანონით გათვალისწინებული, არსებული სამსახურეობრივი ზედამხედველობის სანქცია.

ეხლა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი მექანიზმები არსებობს იმისათვის, რომ დავიცვათ მოსამართლის დამოუკიდებლობა და ამასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ გერმანიაში არსებობს პროფესიული სასამართლოები, სამოსამართლო სასამართლოები, რომლებიც დაკომპლექტებული არიან ისევ და ისევ მოქმედი მოსამართლეებით და რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მსჯელობენ მოსამართლის დამოუკიდებლობასთან შემხებლობის მქონე საკითხებზე.

ამით დავასრულებ გერმანიაზე საუბარს, ჩემი მოხსენების ბოლო ნაწილზე გადავალ და დავუბრუნდები ისევ და ისევ ქართულ კონტექსტს. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, საქართველო გადის ჯერ კიდევ განვითარების გზას და ის მიღწევები, რაც მიღწეულ იქნა ამ განვითარების გზაზე, ნამდვილად პატივისცემას და აღიარებას იმსახურებს. თვითმართველობას რაც შეეხება სასამართლოში თვითონ შიგნით საკანონმდებლო დონეზე, ეს საკითხები ძალიან კარგად არის მოწესრიგებული საქართველოში. უკანასკნელი განვითარებები, ვგულისხმობ სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით, მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით და ვგულისხმობ საკანონმდებლო განვითარებებს და საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებსაც ეხლა აქვს ადგილი, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს თითოეული მოსამართლის შინაგანი დამოუკიდებლობის საკითხს, თითოეული მოსამართლის შინაგანი დამოუკიდებლობის მნიშვნელობას და ამასთან დაკავშირებით ჩამოვთვლი რამდენიმე საკითხს, რაც ჩემი აზრით მნიშვნელოვანია.

პირველი მინდა შევეხო გამოსაცდელ ვადას, რომელიც განისაზღვრა მოსამართლეებისთვის, უნდა იყოს თუ არა ესეთი ვადა, ეს ყველა საზოგადოებამ, სამართლებრივმა კულტურამ, ქვეყანამ თავისი რეალობით თავად უნდა გადაწყვიტოს. გერმანიაში არის გამოსაცდელი ვადა, სხვა ქვეყნებში არ არის. გერმანიაში რომ არის, ეს შეიძლება გამომდინარეობდეს ჩვენი განათლების სისტემიდან, საქართველომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ თავისი განათლების სისტემიდან გამომდინარე არ უნდა იყოს. ამ გადაწყვეტილებაში მე ვერც ჩავერევი და არც ჩავერევი, უბრალოდ ამ გამოსაცდელ ვადას პროარგუმენტებიც აქვს და საწინააღმდეგო არგუმენტებიც, მაგრამ თუკი იქნება გამოსაცდელი ვადა, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი შემდეგი ჩარჩო პირობები. პირველი, ვერ ავუვლით გვერდს იმ ფაქტს და ვერ უარვყოფთ იმას, რომ მოსამართლისთვის გამოსაცდელი ვადის შემოღება შემხებლობაშია მოსამართლის დამოუკიდებლობასთან, შინაგან და ინდივიდუალურ დამოუკიდებლობასთან, შემხებლობა ერთია და ამიტომ ეს შემხებლობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ძალიან ფაქიზად, დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ამ პროცედურის განხორციელებას. არ შეიძლება მოსამართლის გამოსაცდელი ვადის შემოღება იყოს დაკავშირებული მოსამართლის გარკვეულ შიშებთან ამ პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით. არ შეიძლება ეს იყოს დაკავშირებული მისი შინაგანი დამოუკიდებლობის შეზღუდვასთან. მოსამართლისთვის საგამოცდო ვადის შემოღება მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რომ მოსამართლედ დიდი ვადით, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე კი უვადოდაც, არ გამწესდეს ადამიანი, რომელიც პრაქტიკაში ვერ ახორციელებს სამოსამართლო საქმიანობას, რომელიც ვერ მუშაობს, როგორც მოსამართლე, მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს გამოსაცდელი ვადა. სხვა პირობების შემთხვევაში, თუ რაიმე სხვა მიზნის, სხვა დატვირთვის საშიშროება გაჩნდება ამ პირობითი ვადისა, კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით პირობითი ვადა ძალიან პრობლემატური იქნება.

მეორე მე ნამდვილად არ მესმის რატომ სჭირდება მოსამართლეს, რომელიც წლებია ახორციელებს სამოსამართლო საქმიანობას შემოწმება და გამოცდა, გამოსაცდელი ვადა. მე არ მესმის, რატომ არ გადაინიშნება ეს მოსამართლე თავისი ვადის ამოწურვისთანავე უვადოდ. თუ საუბარია იმაზე, რომ რომელიმე მოსამართლეს არ შესწევს სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების უნარი, მაშინ სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა ათწლიანი იყო და წესით ეს ის ვადაა, როდესაც უკვე ეს აღმოჩენა უნდა გაეკეთებინა შესაბამის დამკვირვებელს და

ეს ფაქტი უნდა იყოს უკვე ცნობილი და მაშინ უკვე იმაზე უნდა ეზრუნათ, რომ აშკარად უუნარო მოსამართლეების განთავისუფლების შესაძლებლობა საკანონმდებლო დონეზე შეექმნათ და არა ყველა საგამოცდო რეჟიმში გამწესებულიყო. თუ ის არის მოქმედი მოსამართლეებისთვისაც გამოსაცდელი ვადის შემოღების საბაზი, რომ არსებობს და არსებობდნენ მოსამართლეები, რომლებმაც გასულ წლებში არ შეასრულეს ღირსეულად თავიანთი საქმიანობა, არ იყვნენ ღირსეული მოსამართლეები და არღვევდნენ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პრინციპებს, არღვევდნენ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს და ამით არყვედნენ მართლმსაჯულების, სასამართლო სისტემის დამაჯერებლობას, ამით არყვედნენ ნდობას სასამართლოსა და მოსახლეობას შორის, მე ვფიქრობ რომ ასეთი მოსამართლეებისაგან სისტემა უნდა განთავისუფლდეს, მაგრამ მე ვფიქრობ რომ ამისი სათანადო საშუალება არ არის ყველა მოსამართლის ავტომატურ რეჟიმში, უკვე მოქმედი და გამოცდილი მოსამართლეებისაც ავტომატურ რეჟიმში გამოსაცდელ ვადაზე დაქვემდებარება. ამის გამოსავალი იქნებოდა ყველა მოსამართლის, ყველა მოქმედი, გამოცდილი, მოსამართლის ჩვეულებრივ გადანიშვნა და ისეთი მექანიზმის შემოღება, რომელიც აი ასეთი დარღვევებისას, მართლწესრიგის იმ პრინციპების დარღვევისას, რომელზეც დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მართლწესრიგი დგას შესაძლებლობა იქნებოდა, რომ განთავისუფლებულიყო თავისი საქმიანობისაგან ანუ უმჯობესი იქნებოდა ამ მექანიზმების შემოღება და ინდივიდუალურად უკვე ცალკეულ შემთხვევებში განსჯა, მსჯელობა, გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე ყველას ავტომატურ რეჟიმში საგამოცდო ვადაზე დაქვემდებარება. ნამდვილად არ მესმის ის, თუ რატომ იყო საჭირო ყველა მოსამართლის კიდევ ერთხელ გამოცდა. თუ იგეგმება დაკვირვება კონკრეტული მოსამართლეების საქმიანობაზე, მათი საქმიანობის შეფასება, ეს უნდა მოხდეს ერთი - გამჭვირვალე პროცესით, მეორე - დამოუკიდებელი ორგანოს მიერ და მესამე - ყველა გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს ძალიან ცხად და გასაგებ, არაორაზროვან ფაქტებს.

ბუნებრივად გადავდივართ მოსამართლის შეფასების საკითხზე, ინსტიტუტზე, რომელიც უნდა დაინერგოს ქართულ სისტემაში და რომელიც ასევე მოქმედებს და აპრობირებულია გერმანულ სისტემაში. მე ნამდვილად მომხრე ვარ შეფასებისა და ვფიქრობ რომ შეფასება უკეთესია, ვიდრე შეფასების არქონა. იმიტომ რომ შეფასებას მოაქვს გამჭვირვალეობა, ღიაობა ამ პროცესისა, შეფასებას მოაქვს ობიექტურობა, ოღონდ თუ შეფასება სწორად მიმდინარეობს. შეფასებას არ ვეწინააღმდეგები, პირიქით ვემხრობი ამას, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ, ანუ როგორ განხორციელდება იგი და თუ ჩვენ დანამდვილებით ვთქვით, რომ საქმეთა განაწილება კი, რომელიც მოსამართლეების ყოველდღიურ საქმიანობას ეხება ჩვენ მინდობილი გვაქვს მოსამართლეებზე რა თქმა უნდა, სასამართლოს და თითოეული ცალკეული მოსამართლის შეფასებაც უნდა იყოს იმავე ხელისუფლების კომპეტენცია. მართალია იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო ხელისუფლების ნაწილია, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ და ჩემი მოსაზრება გახლავთ ის, რომ მოსამართლე უნდა შეამოწმონ მოსამართლეებმა. არ შეიძლება მოსამართლე შეფასდეს პირის მიერ, რომელსაც არ განუხორციელებია და არ ახორციელებს სამოსამართლო საქმიანობას. არ შეიძლება რაღაცა ორგანოში აკუმულირდეს, შეიკრიბოს და გაძლიერდეს ვთქვათ ეს ტენდენცია, შეიკრიბოს, დაგროვდეს ის ძალა, რომელიც ერთი მხრივ შეფასებას ახორციელებს ცალკეული მოსამართლეებისა, მისი გადანიშვნის პერსპექტივით და მეორე მხრივ, ასევე იღებს გადაწყვეტილებას მის დაწინაურებასთან და საკადრო განვითარებასთან დაკავშირებით, პერსონალურ განვითარებასთან დაკავშირებით. იმიტომ ჩემი რეკომენდაცია ქართველი კოლეგების მიმართ იქნება - მოიძებნოს ისეთი მოდელი,



რომელიც უფრო დააბალანსებს და გადაანაწილებს ამ ძალებს და არა ერთ ორგანოში მოუყრის ამ ყველაფერს თავს, იმიტომ რომ ძალის კონცენტრირება, ძალაუფლების, გავლენის კონცენტრირება მანდამაინც მომგებიანი არ არის, ამ კუთხით ანუ ვეძიოთ ისეთი მოდელი, სადაც იქნება ძალები გადანაწილებული და ეს იმავდროულად შიდა კონტროლსაც უზრუნველყოფს. ამიტომ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ისეთ ორგანოზე ფიქრი, როგორც არის მაგალითად გერმანიაში პრეზიდენტის, თვითონ მოსამართლეების მიერ დაკომპლექტებული ორგანოს შექმნაზე ფიქრი და ამას იუსტიციის უმაღლესმა საბჭომაც, ამას თვითონ სასამართლოებმაც უნდა შეუწყონ ხელი, რომ შეიქმნას ორგანო თვითონ შიგნით მოსამართლეებისაგან დაკომპლექტებული, რომელიც უკვე გამოცალკევდება ფუნქციონალურად საბჭოსაგან და რომელიც სპეციალურად მხოლოდ და მხოლოდ ამ შეფასებაზე, მონიტორინგზე იზრუნებს და განახორციელებს მას და არ იქნება აღრეული უკვე თითოეული მოსამართლის შესახებ იმ საკადრო გადაწყვეტილებებთან, რომელსაც იღებს საბჭო ასევე თითოეულ მოსამართლესთან მიმართებით.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი შეფასება ორიენტირებული და მთლიანად დაფუძნებული უნდა იყოს მოსამართლის დამოუკიდებლობის აღიარებასა და პატივისცემაზე. არანაირად არ შეიძლება ასეთი შეფასების საგანი გახდეს მოსამართლის მუშაობის სტილი ან მისი ტენდენციები მის გადაწყვეტილებებში.

ბოლოს რამდენიმე პერსონალური სიტყვით დავასრულებ ჩემს გამოსვლას და ვიტყვოდი, რომ საქართველოს მართლმსაჯულება, სასამართლო სისტემა მიმდინარე პერიოდში, დღესდღეობით იმყოფება რთულ, მაგრამ ძალიან საინტერესო ეტაპზე და ამ სირთულეში და ამ გარდატეხებში, ყოველთვის გამოიკვეთება ხოლმე ახალი შესაძლებლობები, ახალი შანსები და მე მინდა ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ სანამ ამ პერიოდში ხართ და არ დამთავრებულა ეს ეტაპი, მიგიითოთ ერთ პატარა საფრთხეზე, რასაც ვხედავ როგორც გულშემატკივარი თქვენი ქვეყნისა, ვხედავ რომ არსებობს საფრთხე ძველი შეცდომების გამეორებისა, კერძოდ მოსამართლეებზე მკაცრი კონტროლის დაწესების. თუ ეს ადრე ხორციელდებოდა სასამართლოს ადმინისტრაციის მხრიდან, ეხლა ამ ძალამ და ამ კონტროლის უფლებამოსილებამ, ვხედავ, რომ შეიძლება გადაინაცვლოს იუსტიციის საბჭოში, თუნდაც უფრო შერბილებული ფორმით, მაგრამ მაინც. მე არ მესმის მოტივაცია იმისა, თუ რატომ არის ტენდენცია, რატომ არის ყოველთვის ამის სურვილი, რომ კონტროლის ქვეშ იყოს მესამე ხელისუფლება, კონტროლის ქვეშ იყოს მოსამართლე, რატომ არ ვართ მზად, რომ უფრო მეტი ნდობით მივუდგეთ ამ პროფესიას, ამ პროფესიის განმახორციელებლებს და ამ კუთხით მეტი პასუხისმგებლობა დავაკისროთ და ვაჩვენოთ რომ ისინი ამ პასუხისმგებლობის მატარებლები არიან. გერმანიის მაგალითზე მე შევეცადე რომ მომეყოლა თქვენთვის, რომ გერმანიაში შეიძლება ორგანიზაციული კუთხით ყველაფერი ისე არ არის, როგორც შეიძლება გარეთა თვალისა და გვინდოდეს და მოგვეჩვენოს, მაგრამ არც ის კონტროლის მექანიზმები არსებობს და არც ამ კონტროლის წყურვილი და სურვილი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ანარქია და ქაოსი არ არის.

მინდა გითხრათ, რომ სამოსამართლო საქმიანობა და ეს კონტროლის არარსებობა ამ საქმიანობაზე, კიდევ უფრო ამაღლებს მოსამართლეების პასუხისმგებლობას, კიდევ უფრო ამაღლებს მოსამართლეების თვითშეგნებას და სერიოზულ, პატიოსან დამოკიდებულებას თავის პროფესიასთან მიმართებით. იგივე პარალელი შემძლია გავავლო ბავშვებთან და მინდა

მოგახსენოთ, რომ რაც უფრო მეტს გავაკონტროლებთ ბავშვებს, რაც უფრო მეტს შევზღუდავთ მათ, მით უფრო დაქვეითდება მათი პასუხისმგებლობის შეგრძნება. რაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას მივაკუთვნებთ მათ თავიანთ საქციელზე, მით უფრო ადაპტირებას მოახდენენ ისინი თავიანთ გარემოში, მით უფრო წარმატებულები იქნებიან ისინი და მით უფრო კმაყოფილები ზოგადად. ეს პარალელი გავავლე მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კუთხით და ასეთ დროს რა თქმა უნდა, როდესაც ადამიანი თვითონ ცდის, თვითონ არის თავისი პასუხისმგებლობის მატარებელი, თავისი საქმეების განმკარგავი, შეცდომებსაც უშვებს, მაგრამ ამ შეცდომებიდან ისწავლის, რადგან იცის, რომ ეს პასუხისმგებლობა მის ხელშია და მას აბარია თავისი თავი, ამიტომ მოდით ნუ დავაკვირდებით მხოლოდ და მხოლოდ შეცდომების თვალით მოსამართლეებს, ნუ ვეძიებთ თუ რა შეეშალათ მათ, არამედ ამ ყველაფერში დავინახოთ შანსი, შესაძლებლობა იმისა, რომ ამაღლდეს თითოეული მოსამართლის პასუხისმგებლობა თავის საქმესთან დამოკიდებულებაში, თავისი საქმის მიმართ.